ხელშეკრულება N292სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV -18424300; 24322220; 33141113; 33141115; 33600000)

ქ. თბილისი ,,29" ,,ნოემბერი" 2016 წ.

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1 ტელეფონი: 238-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, სკ-211358957) შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის **სოფიო ლონდარიძის** სახით და **შ.პ.ს „ავერსი-ფარმა"** (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N148/2; ტელეფონი:0322506506, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი: BAGAGE22; ანგ.№GE06BG0000000122932100; ს/კ-211386695) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის **ეკატერინე მიქელაძის (მინდობილობის სარეგისტრაციო ნომერი 161290554 ინდივიდუალური ნომერი 73809099567616)** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.
1.4 "შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 "საქონელი" _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი
სხვადასხვა სახის ფარმაცევტული საქონლის მიწოდება
დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს
(CPV -18424300; 24322220; 33141113; 33141115; 33600000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **167.67 (ას სამოცდაშვიდი ლარი და 67 თეთრი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს **სხვადასხვა სახის ფარმაცევტული საქონლის მიწოდება** დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
დ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და დანართი N1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს/ენ სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის **საორგანიზაციო განყოფილების უფროსი გულიადა გოცირიძე.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული ხარისხის საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით, რომელიც ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1–ით გათვალისწინებულ მისამართზე საქონლის გადაცემისთანავე, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, რომლის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა და რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენელი მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, სასაქონლო ზედნადების და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე, რის შესახებაც ეცნობება მიმწოდებელს წერილობით.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტის, 6.3 პუნქტისა და დანართი №1-ით განსაზღვრული **საქონლის მიწოდების** ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

10.2 ხელშეკრულების 8.2 პუქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის **0.02%**-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი	შ.პ.ს „ავერსი-ფარმა"
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1,	მისამართი: ქ. თბილისი,დ. აღმაშენებლის გამზ. N148/2;
ტელეფონი: 2-38-14-25,	ტელეფონი: 0322506506;
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი TRESGE22,	ბანკის კოდი BAGAGE22;
სახელმწიფო ხაზინა,	ს.ს.„საქართველოს ბანკი";
ანგ.№ GE24NB0330100200165022,	ანგ.№ GE06BG0000000122932100;
სკ – 211358957	ს/კ- 211386695
სოფიო ლონდარიძე	ეკატერინე მიქელაძე

დანართი N1

N	საქონლის (მედიკამენტის დასახელება)	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი თანხა (ლარი)	მწარმოებელი ქვეყანა	CPV კოდი	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	ხელთათმანი ქირ.არასტ.წყვN8 (100 წყვილი)	1	კოლოფი	15.34	15,34	მალაიზია	18424300	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე	ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. N1
2	ეთანოლი სამედიცინო 100მლ	5	ფლაკონი	0.96	4.80	საქართველო	24322220		
3	ბინტი 7მx14სმ სტერ.(იმპ)	5	ცალი	0.60	3.00	სომხეთი	33141113		
4	ბამბა 50გ (იმპ)	3	ცალი	0.45	1.35	უზბეკეთი	33141115		
5	პარაცეტამოლი 0.5გ #10ტ	5	ფირფიტა	0.25	1.25	რუსეთი	33600000		
6	ნო-შპა 40მგ #100ტ	5	კოლოფი	9.27	46.35	უნგრეთი	33600000		
7	მაგნოლი 100მგ #30ტ ხსნადი	5	კოლოფი	9.82	49.10	საქართველო	33600000		
8	კაპტოპრილ(კაპტი)25მგ #50ტ	5	კოლოფი	5.20	26.00	საქართველო	33600000		
9	კოფეინი ნ/ბ 0.2გ #10ტ	5	კოლოფი	1.71	8.55	უკრაინა	33600000		
10	ვალერიანი პიტნით #40ტ (ნეოფ)	3	კოლოფი	0.96	2.88	საქართველო	33600000		
11	კორვალოლი 25მლ #1ფლ (რუსეთი)	3	ფლაკონი	0.56	1.68	რუსეთი	33600000		
12	ვალოსედი 25მლ ფლ (ნეოფ)	3	ფლაკონი	1.20	3.60	საქართველო	33600000		
13	იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ ფლ	2	ფლაკონი	0.36	0.72	რუსეთი	33600000		
14	წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ საქ	5	ფლაკონი	0.41	2.05	საქართველო	33600000		
15	ლეიკოპლ. მედპლასტი #10	5	კოლოფი	0.20	1.00	ჩინეთი	33600000		
				სულ თანხა დღგ-ს ჩათვლით:	167.67				

შემსყიდველი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1,
ტელეფონი: 2-38-14-25,
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი TRESGE22,
სახელმწიფო ხაზინა,
ანგ.№ GE24NB0330100200165022,
სკ – 211358957

სოფიო ლონდარიძე

მიმწოდებელი

შ.პ.ს „ავერსი-ფარმა“
მისამართი: ქ. თბილისი,დ. აღმაშენებლის გამზ. N148/2;
ტელეფონი: 0322506506;
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი BAGAGE22;
ს.ს.„საქართველოს ბანკი“;
ანგ.№ GE06BG0000000122932100;
ს/კ- 211386695

ეკატერინე მიქელაძე